სექტემბერი, 2024
ყოველთვიური შრომის ბიულეტენი ფრიდრიხ ებერტის ფონდის მხარდაჭერით

ეკატერინე ქარდავა, სამართლის დოქტორი, ასოციაციის „ევროპის დროით“ თავმჯდომარე

შრომის ანაზღაურების მინიმუმი ევროკავშირის წევრ ქვეყნებში

2023 წელს 2022 წელთან შედარებით შრომის ანაზღურებამ საშუალოდ 5.3%-ით მოიმატა ევროკავშირში, უშუალოდ ევროზონაში კი - 4.8 %-ით.

ევროზონაში მყოფ ევროკავშირის ქვეყნებში, საათობრივი ანაზღაურებამ მოიმატა ყველა ქვეყანაში. ყველაზე დიდი ზრდა დაფიქსირდა ხორვატიაში +14.2%, ლიეტუვაში +12.4 %, ესტონეთში +11.7%.

ევროზონის გარეთ მყოფ ევროკავშირის ქვეყნებში, მატება გამოხატულია ეროვნულ ვალუტებში. ყველზე დიდი ზრდა იყო უნგრეთში +17%, რუმინეთში +16.5%, ბულგარეთში +14 %, პოლონეთში +12.4%.

ევროკავშირის ქვეყნებში საათობრივი ანაზღაურება მერყეობს 9 ევროდან 54 ევროს ფარგლებში.

2024 წლის მონაცემებით, მინიმალური ანაზღაურება ევროკავშირში ყველზე ცოტა არის ბულგარეთში - თვეში 477 ევრო, ყველაზე დიდი კი ლუქსემბურგში - თვეში 2571 ევრო.

- **ევროკავშირის ქვეყნები, სადაც ეროვნულ დონეზე მინიმალური ანაზღაურება თვეში 1500 ევროზე მეტია:** ლუქსემბურგი, ირლანდია, ნიდერლანდები, ბელგია, გერმანია, საფრანგეთი.
- **ევროკავშირის ქვეყნები, სადაც ეროვნულ დონეზე მინიმალური ანაზღაურება თვეში 1000 ევროზე მეტია და 1500 ევროზე ნაკლებია:** ესპანეთი, სლოვენია. (სლოვენიაში მინიმალურ ხელფასად დადგენილია 1254 ევრო, ხოლო ესპანეთში - 1324 ევრო).
- **ევროკავშირის ქვეყნები, სადაც ეროვნულ დონეზე მინიმალური ანაზღაურება თვეში 1000 ევროზე ნაკლებია:** კვიპროსი, პოლონეთი საბერძნეთი, პორტუგალია, ლიეტუვა, მალტა, ხორვატია, ესტონეთი, ჩეხეთი, სლოვაკეთი, რუმინეთი, ლატვია, უნგრეთი და ბულგარეთი.

2024 წლის 1 იანვრისთვის, ევროკავშირის 27 ქვეყნიდან 22-ში მოქმედებს ეროვნულ დონეზე დადგენილი მინიმალური ანაზღაურების სქემა. კანონისმიერი მინიმალური ანაზღაურების გარეშე არიან შემდეგი ქვეყნები: დანია, იტალია, ავსტრია, ფინეთი და შვედეთი.

ევროკავშირში გაწევრების კანდიდატობის სტატუსის მქონე 10 ქვეყნიდან 7 ქვეყანას განაზღვრული აქვს მინიმალური ანაზღაურება (მონტენეგრო, მოლდოვა, ჩრდილოეთ მაკედონია, ალბანეთი, სერბეთი, თურქეთი და უკრაინა), 3 ქვეყანას კი დღემდე არ აქვს ეროვნულ დონეზე საკითხი დარეგულირებული (ბოსნია-ჰერცოგოვინა, საქართველო, კოსოვო).

საქართველოს შესახებ ევროკომისიის შეფასების დოკუმენტში, რომელიც გამოქვეყნდა 2023 წლის 8 ნოემბერს (და რომელსაც დაეფუძნა საქართველოსთვის კანდიდატობის სტატუსის მინიჭების გადაწყვეტილება), აღნიშნულია შემდეგი:
საქართველოს არ განუხორციელებია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) „მინიმალური ანაზღაურების შესახებ“ კონვენციის რატიფიცირება; საქართველომ უნდა ჩამოაყალიბოს სოციალური დაცვის მდგრადი სისტემა, მათ შორის უმუშევრობის დახმარების; უნდა დაიწყოს ფართო დისკუსია მინიმალური ანაზღაურების რეფორმის განხორციელებასთან დაკავშირებით.

<u>წყარო:</u>

https://neighbourhood-enlargement.ec.europa.eu/document/download/388e01b7-e283-4bc9-9d0a-5600ea49eda9_en?filename=SWD_2023_697%20Georgia%20report.pdf

https://ec.europa.eu/eurostat/web/products-eurostat-news/w/ddn-20240327-2

https://ec.europa.eu/eurostat/statistics-explained/index.php?title=Minimum_wage_statistics#:~:text=In%20July%202024%20minimum%20wages,571%20per%20month%20in%20Luxembourg.

მოგვწერეთ, გვკითხეთ
european.time.geo@gmail.com
ekakardava2014@gmail.com
eka_kardava@yahoo.com